



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

ქალაქის ლანდშაფტის დაცვისთვის, ხედვითი დერეფნების დადგენის ხერხები

თემის ხელმძღვანელი

მერაბ ბოლქვაძე

დოქტორანტი

ირაკლი ზუკაკიშვილი

18 ივნისი 2019 წელი

შესავალი

ზოგადი დახასიათება

ნაშრომი ეხება ქალაქ თბილისში, მახათისა, მთაწმინდისა და თაბორის მთებისა და ფერდების განაშენიანების პრობლემებს. ტერიტორიის დიდი ნაწილი მდებარეობს ძველ თბილისში. მოცემული საკითხის განსახილველად საჭიროა გავეცნოთ ქალაქის რელიეფს, გეგმარებას, არქიტექტურასა და ისტორიას.

თბილისი მთაგორიანი ქალაქია. რელიეფი ქმნის ბუნებრივ დერეფანს, რომელშიც მდინარე მტკვარი მოედინება. ძველი თბილისის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები იყო: რელიეფიდან გამომდინარე, ტერასულად შეფენილი, მდინარეზე გადმოკიდებული სახლები; ღია აივნები; ბანური ტიპის კონსტრუქციული ნაგებობები; ვიწრო ქუჩები და ეთნიკური მრავალფეროვნება. რაც მაქსიმალურად იცავდა ქალაქის ლანდშაფტს და ავლენდა რელიეფის თავისებურებებს.

მთაწმინდის ფერდზე თავმოყრილია კულტურული ღირებულების მრავალი ობიექტი: მამადავითის ტაძარი (1859-1871წწ.), ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, თბილისის ფუნქციონირი: სამთო-საბაგრო რკინიგზა ქვედა და ზედა სადგურებით (1903-1905წწ.). შემდგომში, მთაწმინდის ფერდის ზედა ნიშნულზე (770მ), ფუნქციონირის ზედა სადგურის მახლობლად, აღიმართა თბილისის სატელევიზიო ანბა (1955წ.). (იხ. სურ. 1; 2; 3)

მთაწმინდის ფერდის მოპირდაპირედ მდინარის მარცხენა ნაპირი და მისი შემოგარენი, რომელიც მახათას ფერდით გრძელდება, XX საუკუნის დამდეგისთვის ჯერ ისევ დაბალი განაშენიანებით, ნელი სამშენებლო ტემპით ხასიათდებოდა. მახათის ფერდს (632,6მ) ამშვენებს. მახათას სამონასტრო კომპლექსი, მშენებლობა ახლაც მიმდინარეობს. მახათიდან არაჩვეულებრივი ხედი იშლება ქალაქზე, განსაკუთრებით მზის ამოსვლისას. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სამშენებლო ტემპის ზრდასთან ერთად, იზრდება საზოგადოებრივი მოთხოვნებიც.

თბილისის ქალაქმაფორმირებელი და მისი იდენტობის განმსაზღვრელი ელემენტები - მთები და ფერდებია. (მარჯვენა სანაპირო: ლისის, მთაწმიდნის, თაბორის. მარცხენა სანაპირო ყეენის, მახათის.) სწორედ ამ ფერდებმა განაპირობეს, ქალაქისთვის ასეთი გეგმარებითი სახის მიცემა. დღეს კი, ჩვენი უცოდინრობითა თუ გამიზნული ჩარევებით, ვცდილობთ ფერდების მთლიანად ათვისებას. ვარღვევთ მასშტაბს, უხეშად ვეპყრობით ლანდშაფტს და ქალაქს არ ვუტოვებთ არსებობის საშუალებას. ქალაქის განაშენიანების კონტურის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულეს სწორედ არსებულმა რელიეფმა და მთებმა თავისი ფერდობებით, ამიტომ მთებსა და ფერდობებზე ურბანული ცოცვის კონტროლირება უმნიშვნელოვანესი ქალაქგეგმარებითი ამოცანაა.

მიზანი

როგორც უკვე ავღნიშნეთ, თბილისის ხეობას განსაზღვრავენ მისი მთები და ფერდები. ისინი ერთგვარ საზღვარს ქმნიან, ქალაქის ფორმაციის ასპექტში. შესაბამისად, კვლევის მიზანია წარმოვაჩინოთ, რა გავლენას ახდენს ქალაქზე, მის ლანდშაფტზე, ეკოლოგიაზე, ჰავაზე, კლიმატურ პირობებზე, ამ მთებისა და ფერდების (საზღვრების) უგულვებელყოფა. მიზნის მიღწევის პროცესში გასათვალისწინებელია ისტორიული საკითხებიც, თანამედროვე არქიტექტურის ჰარმონიული შერწყმა წარსულთან და განვითარების გზები. რის საფუძველზეც ვცდილობთ შემდეგი ნაბიჯებით განვაგრძოთ კვლევა. შევისწავლით ტურისტულად აქტიური, სხვადასხვა საჯარო სივრცეებიდან და წერტილებიდან, ქალაქზე გახსნილ ხედვის დერეფნებს. მათ სიმცდარესა თუ მართებულობას. რა სახის ჰორიზონტალური სივრცე იხსნება ხედვით დერეფანში, არის თუ არა იგი ამოვარდნილი საერთო სურათიდან, არღვევს თუ არა მასშტაბსა და შენობა-ნაგებობათა რიტმს.

ქალაქის ჩამოყალიბება და ფორმაცია. ისტორიული ექსკურსი

თბილისის დაარსება, ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება, როდესაც მეფემ ნადირობისას, ხოხობს მიმინო დაადევნა და შემდეგ ორივე ცხელ წყალში ამოიფუფქა. ამას მოჰყვა ტყის გაკაფვა და ქალაქის დაარსება. მიუხედავად ამ ცნობისა, არქეოლოგიური გათხრები სხვა ინფორმაციას გვაწვდიან. დასტურდება, რომ თბილისის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ძ.წ. IV ათასწლეულში. შემდეგ იყო აზონის შემოჭრა რასაც მოჰყვა ფარნავაზი. ხოლო უძველესი წყაროსეული მოხსენიება განეკუთვნება IV საუკუნის II ნახევარს, როცა ამ ადგილებში მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ციხე ააგეს. IV საუკუნის დასასრულს თბილისი სპარსეთის მოხელის - პიტიახშის რეზიდენცია გახდა. V საუკუნის შუა წლებიდან კვლავ ქართლის მეფეთა ხელში გადავიდა. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ვახტანგ გორგასალი (რომელიც V საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა) სინამდვილეში ქალაქის აღორძინებასა და აღმშენებლობაშია პასუხისმგებელი და არა მის დაარსებაში.

„523 წლიდან, როდესაც ქართლში ირანელებმა მეფობა გააუქმეს, თბილისი ქართლის ერისმთავართა რეზიდენციად იქცა. მცხეთის დაქვეითებისა და მის სანაცვლად თბილისის დაწინაურების პროცესი სხარტად და მკაფიოდ აისახა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში: „მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა“-ო. აქ ისიც საყურადღებოა, რომ თბილისი მცხეთას უპირისპირდება, ხოლო კალა - არმაზს, ე. ი. ციტადელი ციტადელს.“¹

შუა საუკუნეების თბილისმა მრავალ ქარტახილს გაუძლო. დამპყრობლების ხელიდან ხელში გადადიოდა. მიწასთან სწორდებოდა და ისევ თავიდან იწყებდა შენებას. იცვლებოდა ცხოვრების სტილი და რათქმაუნდა არქიტექტურაც.

„ძველი თბილისის სათავდაცვო ნაგებობათა შორის არის გადარჩეული ადრინდელი ფენები. ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, როდესაც VII ს-ის დასაწყისში ბიზანტიის იმპერატორმა თბილისი აიღო, „ციხესა კალასა დარჩეს კაცნი და არ დაემორჩილნენ დამპყობელთ.“ ეს უკვე მოწმობს, რომ ქალაქში არსებობდა ცალკე გამაგრებული ნაწილი - ციტადელი. იგი მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მთის თხემზე, სადაც ახლაც დგას ნარიყალას ნანგრევები. იქიდან, უეჭველია, ისევე როგორც უფრო გვიან, ქალაქის შემომზღუდველი კედლები ეშვებოდა მდინარისკენ. სადავო არ უნდა იყოს, რომ „თავდაპირველად მოსახლეობა და ქალაქის შენობები დღევანდელ აბანოს უბანში უნდა

ყოფილიყო, რადგანაც სწორედ ამ პუნქტის საკუთარი სახელი უნდა იყოს „ტფილისი“, მიღებული აქ არსებული თბილი... მინერალური წყაროებისაგან, და რადგანაც აქვე იყო ტფილისის ციხე-სიმაგრე... შემდეგ ხანებში ქალაქი უპირატესად ჩრდილო-დასავლეთით იზრდებოდა (მტკვრის დინების მიხედვით - „ზევით“). VI-VII სს-ის მიჯნაზე ქალაქის ფარგალი ამ მიმართულებით, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მუხრანის ხიდის სამხრეთით არ უნდა ვიგულისხმოდ. სხვაგვარად სურათს ვერ წარმოვიდგენთ, რადგანაც ქალაქის კათედრალს სიონს, რომელიც VII ს-ის დასაწყისშივე არსებობს, ქალაქგარეთ, ან სულ მთლად განაპირად არ ააშენებდნენ. ქალაქის ფარგლებშივეა მეორე უმთავრესი ეკლესიაც - „ანჩისხატი“, VI საუკუნისა („ტფილისის კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდად ეკლესიად აღაშენესო“ - მემატიანის ეს სიტყვები ანჩისხატს გულისხმობს). მოსახლეობა ადრევე უნდა გაჩენილიყო მტკვრის მარცხენა ნაპირზედაც, მაგრამ ქალაქის უმთავრეს ნაწილს მაინც აბანოებისა და სიონის უბნები შეადგენდა.“²

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პირველ ეტაპზე მოვიძიეთ ქალაქ თბილისისთვის სხვადასხვა დროს შედგენილი გეგმები, რუკები. გავეცანით და გადავწყვიტეთ მოცემული გეგმების ეტაპობრივი შედარება, რათა თვალსაჩინოდ აღქმულიყო ქალაქის განვითარების ეტაპები და მიმართულება. აგრეთვე მოვიძიეთ ხედვითი დერეფნების დაცვის მეთოდები ქალაქ ვანკუვერის მაგალითზე. ამ მასალის გაცნობამ მოგვცა დამატებითი შესაძლებლობა, ვიმსჯელოთ ქალაქ თბილისისთვის ხედვითი დერეფნების დადგენის ხერხებზე. რაც შეეხება გეგმარებას და ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, სიონის აგებასთან დაკავშირებით, სადაც ნათქვამია, რომ იგი არ იქნებოდა აგებული ქალაქის გალავნის გარეთ, ან კიდესთან. შესაბამისად, სიონი განსაზღვრავდა შემდგომ გეგმარებით ასპექტს. ამასთან დაკავშირებით, გავეცანით კვლევას, თუ როგორ აყალიბებდა წმინდა პავლეს ტაძარი, საუკუნეთა განმავლობაში ლონდონის დანარჩენ ნაწილს და როგორ ხედვით დერეფანს უნარჩუნებდა ქალაქს.

შემდეგ ეტაპზე მომზადდა ქალაქის უტრირებული რუკა, სადაც სქემატურადაა (ლაქობრივად), ნაჩვენები ქალაქის განვითარების ეტაპები, დაწყებული 1735 წლის ვახუშტი ბატონიშვილის გეგმიდან, ვიდრე დღევანდელ დღემდე.

საუკუნეთა ამ შუალედში მოძიებული და შედარებული რუკები ასე გამოიყურება:

- 1735 - ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა, XVIII საუკუნის 30-იანი წლები; (იხ. სურ. 4)
- 1800 წელი თბილისის გეგმა; (იხ. სურ. 5)
- 1802 წელი ტიფლისი; (იხ. სურ. 6)
- 1850 წელი ტიფლისი; (იხ. სურ. 7)
- 1887 წელი ა. ილინის მიერ შედგენილი თბილისისა და მისი შემოგარენის რუქა; (იხ. სურ. 8)
- 1924 წელი თბილისის გეგმა; (იხ. სურ. 9)
- 1950-1960 - იანი წლების თბილისის განვითარების გეგმა; (იხ. სურ. 10)
- 2019 წელი - არსებული სახით; (იხ. სურ. 11)

თავად ვახუშტი ბატონიშვილი XVIII საუკუნის თბილისზე წერდა: „ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი“.

ამ ტიპის რუქის გაანალიზებით, შეირჩა ქალაქის ცენტრალური ნაწილი, უფრო კონკრეტული დაკვირვებისა და შემდგომი კვლევებისათვის. დღევანდელ რუქაზე დავიტანეთ საჯარო სივრცეები და შესაბამისი ხედები ქალაქზე, ამ კონკრეტული წერტილებიდან.

მარჯვენა სანაპირო

- რუსთაველის პროსპექტი;
- სამხატვრო აკადემიის შენობა - ხედი როგორც მთაწმინდისკენ ასევე მახათასკენ; (იხ. სურ. 12; 13)
- მამადავითის ტაძარი;
- მთაწმინდა, ფუნიკულიორის სიბრტყე - პანორამული ხედი; (იხ. სურ. 14; 15)
- ნარიყალა - პანორამული ხედი გალავნიდან. (იხ. სურ. 16)

მარცხენა სანაპირო

- რიყე; (იხ. სურ. 17)
- ბარათაშვილის (ციციანოვის) აღმართი; (იხ. სურ. 18)
- ავლაბრის მოედანი;
- ხედი სამების საკათედრო ტაძრიდან მთაწმინდისკენ; (იხ. სურ. 19)
- პრეზიდენტის სასახლის სიბრტყე;
- ხედი მახათადან. (იხ. სურ. 20)

ეს სწორედ ის საჯარო სიბრტყეებია, საიდანაც ძალიან აქტიურად ჩანს ქალაქის მეორე ნაწილი. როგორც ტურისტთა, ასევე მაცხოვრებელთა დიდი ნაკადი გადაადგილდება რუსთაველზე, ადიან მთაწმინდაზე, ნარიყალაზე. შესაბამისად მათი მზერა აქტიურადაა მიმართული ქალაქის მეორე ნაწილისკენ. სწორედ ამიტომ, რომ არ დაგვარგოთ ეს ხედები და ქალაქის იდენტობის შემნარჩუნებელი რელიეფები, საჭიროა მათი შესწავლა და დეტალური ანალიზი. შესაბამისი სიბრტყეების რუქაზე მონიშვნის შემდეგ, შეირჩა რამოდენიმე ხედი მახათაზე (შემდგომში - ხედვითი დერეფანი), დასამუშავებლად.

კვლევის სიახლე

ქალაქის განვითარების ტემპის კონტროლი, დიდ სირთულეს წარმოადგენს. კანონმდებლობა ვერ ასახავს ქალაქის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს. ამ ყველაფერს სავალალო შედეგი მოაქვს ქალაქისთვის. შესაბამისი კვლევით გვსურს გარკვეულწილად შევცვალოთ და შემოვიტანოთ ახალი ხედვა, მისი განვითარების საკითხებში. რადგანაც მიგვაჩნია რომ ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქისთვის, მისი მთებისა და ფერდების შენარჩუნება, თბილისისთვის უთუოდ დიდი სიახლე იქნება ხედვის დერეფნების დადგენა და მათი დაცვა.

ხედვითი დერეფნების მნიშვნელობა და გამოვლენა უცხოურ მაგალითებში.

„ხედვითი დერეფნების გავლენა: როგორ აყალიბებდა წმინდა პავლეს ტაძარი, საუკუნეთა განმავლობაში ლონდონის დანარჩენ ნაწილს.“

ქალაქგეგმარების წესები და მეთოდები შემთხვევით არ იქმნება. აქ მოცემულია რჩევები და აუცილებლად დასაცავი პუნქტები. ლონდონის გეგმარებას ყველა მოცემულობასთან ერთად, კიდევ ერთი წესი გააჩნია, რომელიც 1937 წლიდან, შემდეგი სახელით არის ცნობილი - „წმინდა პავლეს სიმაღლე“. პუნქტი ცათამბრჯენების მშენებელთათვისაა, ისინი დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ თავიანთი ნაგებობით არ გაანადგურებენ ხედს წმინდა პავლეს ტაძარზე. ამ კანონის საზღვრები ქალაქ გარეთაც კი ვრცელდება. (იხ. სურ. 21) გამოყოფილია რამოდენიმე საჯარო სივრცე და ხედვის დერეფანი, რათა ტაძარი ჩანდეს ლონდონის სხვადასხვა ნაწილიდან (საუბარია ქალაქგარეთ პერიმეტრზე). ამ მანძილიდან მისი დანახვა ძალიან ჭირს, იკითხება მხოლოდ გუმბათი, დანარჩენ შემთხვევაში კი, ჭოგრის დახმარება დაგჭირდებათ. მიუხედავად ამისა, ქალაქის მთავრობა მაინც ცდილობს ღიად შეინარჩუნოს ეს დერეფნები. ხშირ შემთხვევაში ეს კამათის საგანიც ხდება. მაგალითად კენ ლივინგსტონის მერობისას ხედვის დერეფნის სიგრძე 440 მეტრიდან 210 მეტრამდე შეამცირეს. ანალოგიური შეზღუდვა ვრცელდება ლონდონის პარლამენტსა და სასახლეზე (ლონდონის თაუერი). (იხ. სურ. 22) ასევეა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ადგილებშიც, სადაც იცავენ მასშტაბს და ხედვის დერეფნებს, საერო თუ სასულიერო შენობების უკეთ წარმოსაჩენად. გარდა იმისა, რომ ისინი (ნაგებობები) კულტურული მემკვიდრეობის კანონითაც დაცულნი არიან, შემდეგი მუხლი არგუმენტირებულია იმით, რომ ისინი მრავალი საუკუნის მანძილზე იყვნენ ქალაქის სახეები და ამავდროულად ყველაზე მაღალი ნაგებობები.

ქალაქი იზმირი - დაკარგული რელიეფები (ლანდშაფტი)

იზმირი თურქეთის დასავლეთით მდებარეობს, ეგეოსის ზღვის ნაპირზე. დაარსდა ძ.წ. II ათასწლეულში. მოსახლების რაოდენობით თურქეთში მესამეა (2,8 მილიონი ადამიანი).

თურქულ პორტებს შორის სიდიდით მეორეა სტამბულის შემდეგ. ქალაქი გარშემოტყმულია მთებითა და ფერდებით. მიუხედავად იმისა რომ ხშირად იცვლებოდა მმართველობა, 1922 წლამდე იზმირი, კონსტანტინეპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში შედიოდა.

ქალაქმა დაიწყო განვითარება. დაიწყო ფერდების ათვისება. შედეგად მივიღეთ 21-ე საუკუნის თანამედროვე ქალაქი, სადაც წაშლილია პირვანდელი იერსახე, დაკარგულია ფერდები. განაშენიანებამ პირდაპირ გადაუარა მას და ამით დაკარგა ჰორიზონტალური სიბრტყეების აღქმის საშუალება. (იხ. სურ. 23/24.)

დასკვნა

მოცემულ მასალებზე დაყრდნობით, შესაძლოა შემდეგი დასკვნის გაკეთება. ქალაქის იდენტობის შესანარჩუნებლად აუცილებელია დადგინდეს ხედვითი დერეფნები, შეიცვალოს და გამკაცრდეს მიდგომა უხეში ჩანართებისა და მშენებლობებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დროთა განმავლობაში, თბილისიც ქალაქ იზმირს დაემსგავსება, დაკარგავს რა მაიდენტიფირიბელ, ისტორიულ სახეს.

ამასთანავე კვლევის შემდგომ ეტაპზე აუცილებელად განვიხილავთ შეთანხმებულ პროექტებსაც, როგორ მოხდება მათი შერწყმა ქალაქთან.

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები:

1. ვახტანგ ბერიძე - „ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია“
პირველი ტომი, თბილისი 2014. (1-2)
2. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა
3. რუკები (გეგმები) 1800-1924 მოძიებულია ინტერნეტში
4. ნინო ასათიანი - „ქართული ქალაქთმშენებლობითი პრობლემები 1960-1970 წლებში“ (თბილისის მაგალითზე) სტატია
<http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/183--1960-1970-.html>
5. მოგზაურობა ტფილისში – 300 უნიკალური ფოტო ბეჰრუზ ჰუსეინზადეს კოლექციიდან
6. ედ ჯეფერსონი - „ხედვითი დერეფნების გავლენა: როგორ აყალიბებდა წმინდა პავლეს ტაძარი, საუკუნეთა განმავლობაში ლონდონის დანარჩენ ნაწილს.“
<https://www.citymetric.com/fabric/protecting-view-how-st-pauls-cathedral-has-been-shaping-rest-london-centuries-2577>
7. ქალაქი იზმირი
<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98>

1. Vakhtang Beridze - „History of Georgian Architecture”
volume one Tbilisi 2014. (1-2)
2. Master Plan of Tbilisi by Vakhushti Batonishvili 1735
3. Maps and Master Plans 1800-1924 from internet
4. Nino Asatiani - „Problems of Georgian urban planning in 1960-1970 years“
(Based on Tbilisi example) Article

<http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/183--1960-1970-.html>

5. Travel in Georgia - 300 uniq photos by Behrus Huseinsade.
6. Ed Jefferson - „Protecting the view: how St Paul's Cathedral has been shaping the rest of London for centuries.“

<https://www.citymetric.com/fabric/protecting-view-how-st-pauls-cathedral-has-been-shaping-rest-london-centuries-2577>


7. city İzmir

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98>

დანართი:




სურათი 1. მამადავითი




სურათი 2. მთაწმინდა




სურათი 3. სატელევიზიო ანბა




სურათი 4.




სურათი 5.



სურათი 6.




სურათი 7.




სურათი 8.



სურათი 9.



სურათი 10.




სურათი 11.



სურათი 12.



სურათი 13.



სურათი 14;15.




სურათი 16.




სურათი 17.



სურათი 18.




სურათი 19.



სურათი 20.



სურათი 21.



სურათი 22.



სურათი 23.



სურათი 24.